საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030181849466221

№ 01-257/ო **06 / ივლისი / 2021 წ.**

„COVID-19-ის საეჭვო დიაგნოზის მქონე ბენეფიციარებისათვის COVID-19-ის სპეციფიკური ტესტირების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 1 იანვრის N01-1/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „COVID-19-ის საეჭვო დიაგნოზის მქონე ბენეფიციარებისათვის COVID-19-ის სპეციფიკური ტესტირების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 1 იანვრის N01-1/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. 2021 წლის 1 ოქტომბრამდე კორონავირუსის განმსაზღვრელი ანტიგენის სწრაფი ტესტით ამბულატორიული ტესტირებისადმი საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სერვისის მიმწოდებლად განისაზღვროს „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის No36 დადგენილების ფარგლებში გეგმური და გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებული სამედიცინო დაწესებულებები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრები/სამსახურები, ლაბორატორიული სერვისის მიმწოდებლები და სხვა სამედიცინო დაწესებულებები, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში სწრაფი მარტივი ტესტირების სერვისის მიმწოდებლებად.“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. 2021 წლის 1 ოქტომბრამდე კორონავირუსის განმსაზღვრელი ანტიგენის სწრაფი ტესტით ამბულატორიულ ტესტირებას დაქვემდებარებულ დამატებით გეგმურ ჯგუფებად განისაზღვროს:

ა) ტაქსის მძღოლები ყოველ 14 დღეში ერთხელ;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ სპეციალურად მოწყობილ ტესტირების სივრცეებში თვითდინებით მისული პირები.“.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანვე და ვრცელდება 2021 წლის 1 ივლისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრი

ეკატერინე ტიკარაძე